


სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო  
ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ  
2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

**14 იანვარი 2018 წელი**



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.  
საახალწლო გალა კონცერტი  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე-II , III ,IV, V წლის მოსწავლეები

**26, 27, 28, 30 იანვარი 2018 წელი**



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.  
პრემიერა. რომეო და ჯულიეტა - საბალეტო დასის სპექტაკლი ორ მოქმედებად.  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე- VII, VIII წლის მოსწავლეები

**27 თებერვალი 2018 წელი**



ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 108 წლის იუბილე.  
მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების I წლის მოსწავლეები და პედაგოგები.

8 მარტი 2018 წელი



სასტუმრო რუმი. ხელოვან ქალთა ასოციაცია. პროექტი "კულისებს მიღმა" დასაჩუქრდა სასწავლებლის დამსახურებული პედაგოგი ნადეჟდა ხუციშვილი

16 - 19 მარტი 2018 წელი





თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, ქ-ბ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს იტალიაში ქალაქ ლეჩეში "დომენიკო მოდუნის" საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე

საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი კლასიკურ ვარიაციაში მიიღო სასწავლებლის მოსწავლემ მარი ლომჯარიამ (სწავ მე-7 წ/მ), თინათინ ხაინდრავამ (სწავ მე-7 წ/მ) საუკეთესოთა შორის მეოთხე ადგილი, სოფო ნაჭყებია (სწავ მე-7 წ/მ) საუკეთესოთა შორის მეექვსე ადგილი დაიმსახურა, ასევე სასწავლებლის მოსწავლეებმა: ხაინდრავა თინათინ, ხალვაში მარიამი, ლომჯარია მარი, ნაჭყებია სოფიო, ალაფიშვილი ელენე, ჭაბუკიანი ელისაბედი, ვოტკინსონი პატრიცია-ანასტასია, მამადაშვილი ანნა, ცინცაძე სოფიო, ვიქტორია ჩხენკელი (სწავ მე-6,7 წ/მ) ჯგუფურ ცეკვაში დაიმსახურეს საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი. ასევე მოსწავლეებმა მარი ლომჯარიამ და სოფიო ცინცაძემ საჩუქრად მიიღეს მიწვევა ბარსელონაში საზაფხულო სკოლაში ას-პროცენტის დამფინანსებით. მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების VI, VII წლის მოსწავლეები

**19-20 აპრილი 2018 წელი**





ქალაქ რიგაში "Eventus" -ის საერთაშორისო კონკურსზე, ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა: ლომჯარია მარიმ, ნაჭყებია სოფომ და ვოტკინსონ პატრიცია დაიკავეს პირველი ადგილი კლასიკურ ვარიაციებში. აგრეთვე დიდად აღსანიშნავია ის რომ, გრან-პრი და დოპლომი დაიმსახურა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელმა, საუკეთესო საბალეტო სკოლის ნომინაციაში. მონაწილეობდნენ: სასწავლებლის სწავლების VI, VII წლის მოსწავლეები

**27, 28, 29 აპრილი 2018 წელი**



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. პ. ჩაიკოვსკის "მძინარე მზეთუნახავი" პრემიერა. საბალეტო დასის სპექტაკლი სამ მოქმედებად. მონაწილეობდნენ: სასწავლებლის სწავლების - მე- III, IV, V, VII წლის მოსწავლეები

**12, 13 მაისი 2018 წელი**



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ბალეტი "წუნა და წრუწუნა"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - I, II, III, IV, V წლის მოსწავლეები

**15 მაისი 2018 წელი**



მომხრობის თეატრის სცენაზე გაიმართა, თეატრალური სპექტაკლი ორ მოქმედებად ლაშა  
თაბუკაშვილის პიესის "მაგრამ უფლება არ მოუცია"-ს მიხედვით.



მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- VII, VI წლის მოსწავლეები

### 1 ივლისი 2018 წელი




თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

თბილისის ბალეტის ფესტივალის დახურვა პ. ჩაიკოვსკის "მძინარე მზეთუნახავი."

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- III, IV, V წლის მოსწავლეები

### 1 - 10 ივლისი 2018 წელი





თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ იტალიაში ქალაქ კასტელიანეტა მარინაში, სადაც გაიარეს საზაფხულო სემინარის კურსები ბალეტის ხელოვნებაში.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- III წლის მოსწავლეები

## 6 ივლისი 2018 წელი



"ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი" -პირველი არხის პროექტი. ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა, გადაცემაში მოგებული თანხით ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებს საჩუქრები გადასცა.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- II, III, IV, V, VI, VII წლის მოსწავლეები



30-იელისი 16-აგვისტო 2018 წელი



იაპონია. ქ. ტოკიო -საიტამა

ერთობლივი პროექტის და ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა და იაპონიის ქ. საიტამას საბალეტო სკოლა "Sato ballet"-მა. წარმოადგინეს კ.ხაჩატურიანის ბალეტი - "ჩიპოლინო" და საკონცერტო პროგრამა.

იაპონიაში სასწავლებლის მოსწავლეებმა ასევე გაიარეს მასტერ- კლასი.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- IV, V, VII წლის მოსწავლეები

#### 4-8 ოქტომბერი 2018 წელი



2018 წელის 4-8 ოქტომბერს რუმინეთის ქალაქ სიბიუში გაიმართა საერთაშორისო საბალეტო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა.

საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი დაიმსახურა ნიტა ლომიძემ (კონტენ -პორარი), ხოლო სასწავლებლის მოსწავლეებმა: სესილი გუგუჩიამ, მარიამ ლეკიშვილმა, ნინო ქართველიშვილმა, სოფიო კანდელაკმა, ანასტასია წოწონავამ ჯგუფურ ცეკვაში დაიმსახურეს საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი.

საუკეთესოთა შორის მეორე ადგილი კლასიკურ ვარიაციაში მიიღო სასწავლებლის მოსწავლემ მარი ლომჯარიამ, ხოლო საუკეთესოთა შორის მეოთხე ადგილი - სოფო ნაჭყებიამ. მონაწილეობდნენ:


სასწავლებლის სწავლების - მე- VI, VIII წლის მოსწავლეები

#### 5-7 ოქტომბერი 2018 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი  
ბალეტი "გედების ტბა"  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე- VI, VII წლის მოსწავლეები

**25 ოქტომბერი 2018 წელი**



თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრი.  
ქართულ-იაპონური გალა-კონცერტი ორ მოქმედებად. საკონცერტო პროგრამა და ნაწყვეტი  
"არლეკინის მილიონებიდან."  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები  
და სწავლების -VI, VII წლის მოსწავლეები



25 ოქტომბერი 2018 წელი



თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრი.

ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით.

მონაწილეობდნენ:


სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები  
და სწავლების -II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

### 16 ნოემბერი 2018 წელი



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა მორიგი საჯარო ლექცია-კონცერტი ციკლიდან "შემეცნებითი, სახალისო და ინფორმაციული". ლექცია ნინო ანანიაშვილმა ჩაატარა. პრიმა-ბალერინა ბავშვებს საბალეტო ხელოვნების შესახებ ესაუბრა.

### 16-18 ნოემბერი 2018 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი  
ბალეტი "დონ-კიხოტი"  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე- III, IV წლის მოსწავლეები

**24-25 ნოემბერი 2018 წელი**



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი  
ბალანჩინის ქორეოგრაფიის სადამო  
სერენადა, მოცარტიანა, სიმფონია დო მაჟორი  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე- VI, VII წლის მოსწავლეები

**1-2 დეკემბერი 2018 წელი**



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი  
დ.თორაძე. ბალეტი "გორდა"  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე- VII წლის მოსწავლეები



12 დეკემბერი 2018 წელი



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ანა კალატოზიშვილის "თეატრალური კოსტუმებისა და აქსესუარების პროფესიული სკოლის" პრეზენტაცია.  
მონაწილეობდნენ:  
სასწავლებლის სწავლების - მე- III, IV, V წლის მოსწავლეები